

საქმიანობის მოტივაციის თავისებურებების კვლევა გვიანი  
მოზარდობის ასაკის შესაძლებლობების შეზღუდვის მქონე პირებში

სალომე ჩოხელი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

## აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოტივაციასა და მზაობას პროფესიული დასაქმებისათვის და იმ გარემო ფაქტორებს, რომელიც მათთვის ხელშემშლელია ან პირიქით, ხელშემწყობი მოტივაციის ამაღლებისთვის.

დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ადამიანს ესაჭიროება ცხოვრების საწყის ეტაპზე განათლების მიღება, შემდეგ კი დასაქმება. ამისათვის ინდივიდს შესაფერისი და ხელშემწყობი გარემო სჭირდება, რათა გაიზარდოს პიროვნების ჩართულობა და თვითრეალიზების მოტივაცია. პირველ რიგში ესაჭიროებათ საჭირო გარემო სკოლაში, რადგან სკოლა არის ადგილი სადაც პირველად უწევთ შეხება გარვეულ საქმიანობებთან. საქართველოს კანონმდებლობაში მნიშვნელოვნად არის აღნიშნული რომ ყველა ადამიანს, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა აქვს განათლების უფლება თუმცა არაფერი არ არის ნახსენები დასაქმების შესახებ. დღესდღეობით მიმდინარეობს მუშაობა კანონზე, რის მიხედვითაც სახელმწიფო პოლიტიკა მომავალში უზრუნველყოფს დამსაქმებლისა და დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანის, ორმხრივ სასარგებლო ურთიერთობას. სკოლის შემდგომი პროფესიული განათლების მისაღებად მნიშვნელოვანია რამდენად აქვთ მოტივაცია თავად შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე ადამიანებს.

კვლევაში მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ თბილისში არსებული სსიპ მე-200 საჯარო სკოლის (სპეციალიზირებული სკოლა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის) 14 წლის ზემოთ შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე 21 მოსწავლე. კვლევა ჩავატარე რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. კვლევისათვის გამოვიყენე დაკვირვება და სამუშაო გარემოს შეფასების კითხვარი. დაკვირვება ჩავატარე 2 ეტაპად. პირველი ეტაპზე მოსწავლეებს ვაკვირდებოდი საკლასო გარემოში შრომით საქმიანობის პროცესში (ხელსაქმე, თეჯა) და მეორე ეტაპზე მათი შეფასებების შედეგად შეცვლილ ფიზიკურ თუ სოციალურ გარემოში. რის შედეგაც შევადარე პირველადი და მეორადი დაკვირვების შედეგები ერთმანეთს. კვლევის ჩასატარებლად გამოვიყენე შემდეგი ინსტრუმენტები: 1) ნებისმიერ ქცევაზე დაკვირვების კითხვარი (THE VOLITIONAL QUESTIONNAIRE) და

2) სამუშაო გარემოს ზემოქმედების მასშტაბი. **WORK ENVIRONMENTAL IMPACT (WEIS)**

ჩატარებული კვლევის შედეგებიდან ნათლად გამოჩნდა რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უმრავლესობა მოტივირებულნი არიან რომ იყვნენ დასაქმებულნი. ისინი იჩენენ ინიციატივებს და ეძებენ დამატებით გამოწვევებს საქმიანობის პროცესში. ასევე გამოიკვეთა ის გარემო ფაქტორები, რომლებიც წარმოადგენენ როგორც მხარდამჭერ, ასევე ხელის შემშლელ ფაქტორებს შეზღუდული შესაძლებლობებისა და საგანამანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის საქმიანობის ადგილას.